საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის 111-ე დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები გულისხმობს უცხო ენის ფლობის (B2) დონის დადგენას და გამოცდას სპეციალობაში, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ღია და დახურულ ტესტებს, კაზუსის ამოხსნას, კონკრეტულ თემებზე წერილობითი პასუხების გაცემას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს ECTS - 60 ECTS პირველი წელი, 60 ECTS მეორე წელი: **პირველი ნაწილისათვის:** 1. სავალდებულო კომპონენტები - 60 კრედიტი, საიდანაც 10 კრედიტი ეთმობა სასწავლო პრაქტიკას, ხოლო 50 კრედიტი სააუდიტორიო სწავლებას. **მეორე ნაწილისათვის** 1. სავალდებულო სასწავლო კომპონენტებია - 30 კრედიტი 2. სავალდებულო კომპონენტი კვლევითი პროექტი - სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის **მიზანი**	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:** 1. შესძინოს სამართლის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა; გააცნოს სამართლის თანამედროვე განვითარების ძირითადი ტენდენციები; აზიაროს უახლეს მიღწევებსა და აქტუალურ გამოწვევებს (პირველი ნაწილისთვის); 2. მისცეს კომპლექსური ცოდნა ეროვნულ სამართალთან სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემებისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთკავშირისა

	და ურთიერთმიმართების პრობლემებზე; განუვითაროს შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენების უნარი (პირველი ნაწილისთვის); 3. გამოუმუშაოს კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და თანამედროვე კვლევების შედეგების ანალიზის უნარი; ასევე, კომპლექსური სამართლებრივი შემთხვევებისა და რთული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი შეფასებისა და თანამედროვე ღირებულებებზე დაფუძნებული, დასაბუთებული და პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების უნარი (პირველი ნაწილისთვის); **4.** განუვითაროს დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ანალიზის უნარი; აკადემიური წერის, პროექტის მომზადებისა და სამეცნიერო/კვლევითი ტექსტების შექმნის კომპეტენცია; გააცნოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის სტანდარტები, მათ შორის სამოსამართლო ეთიკის ძირითადი ასპექტები და მიმდინარე გამოწვევები (პირველი და მეორე ნაწილებისთვის). 5. გაუღრმავოს ცოდნა და განუვითაროს უნარები დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის; შესძინოს უნარი, რთული და არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში, ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტების დაცვითა და თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით განახორციელოს კვლევა გარკვეული დონის ინოვაციური ცოდნის შესაქმნელად (მეორე ნაწილისთვის).
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება:** A. ღრმა და სისტემურ ცოდნაზე დაყრდნობით აღწერს საჯარო, სისხლის სამართლის, კერძო სამართლის (მათ შორის ბიზნეს სამართლის) და სამართლის საერთაშორისო სამართლის სფეროებში არსებულ საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის განვითარების პერსპექტივებს, კრიტიკულად განიხილავს და განმარტავს დარგობრივ მეთოდოლოგიურ ცნებებს, პრინციპებსა და აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს **(პირველი და მეორე ნაწილისთვის)**; B. აღწერს ეროვნულ სამართალთან, სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემებისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით; განსაზღვრავს და ახასიათებს თანამედროვე სამართლის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს **(პირველი და მეორე ნაწილებისთვის).** C. ადგენს და კრიტიკულად მიმოიხილავს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, გამოწვევებსსა და პრაქტიკაში გამოვლენილ პრობლემებს; განსაზღვრავს მათი აღმოფხვრისა და გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომას, მათ შორის უცხოური გამოცდილების განზოგადებისა და გაზიარების გზას **(პირველი ნაწილისთვის).** D. შეუძლია კომპლექსურად შეაფასოს მოსამართლის საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. იცის სამოსამართლეო სამართლის ძირითადი ასპექტები და მიმდინარე გამოწვევები, მათ შორის მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებები **(პირველი ნაწილისთვის);** E. სიღრმისეულად ხსნის სამართლის სფეროში არსებულ თეორიულ პრობლემებს, თანამედროვე მეცნიერულ მიდგომებს, კვლევის მეთოდებს და კრიტიკულად განიხილავს მათ მნიშვნელობას სამართლის განვითარების კონტექსტში **(მეორე ნაწილისთვის);** **უნარი:** F. აანალიზებს კომპლექსურ სამართლებრივ შემთხვევებს, მათ შორის არასრული ან წინააღმდეგობრივი ინფორმაციის პირობებში, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს, და აყალიბებს დასაბუთებულ სამართლებრივ დასკვნებს **(პირველი ნაწილისთვის);** **G.** აანალიზებს მოქმედ და უახლეს საკანონმდებლო ნოვაციებს; აკავშირებს სამართლის ნორმებს, სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო მიღწევებს; სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის პროცესში ამოიცნობს რთულ და

	წინააღმდეგობრივ შემთხვევებსა და საკანონმდებლო ხარვეზებს; კანონმდებლობის სრულყოფისა და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შეიმუშავებს დასაბუთებულ დასკვნებს; განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს, შემოქმედებითად განმარტავს და ასაბუთებს სამართლებრივი ნორმების შინაარსს **(პირველი და მეორე ნაწილებისთვის)**; **H.** ამოიცნობს რთულ სამეცნიერო და პრაქტიკულ პრობლემებს, შეიმუშავებს მათი მეცნიერული კვლევისა და გადაწყვეტის გზებს; იკვლევს ქართულ და უცხოურ წყაროებს, იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს; სამეცნიერო სიახლეების მოძიების, წინააღმდეგობრივი, პრობლემური და არასრული ინფორმაციის დამუშავებისა და სისტემატიზაციის პროცესში, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ახორციელებს დამოუკიდებელ სამართლებრივ კვლევას. ასევე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ახდენს საკუთარი კვლევის შედეგების კომუნიკაციას; ზეპირი და წერილობითი ფორმით წარადგენს სამართლებრივ პოზიციას აკადემიური და პროფესიული აუდიტორიის წინაშე. აყალიბებს კვლევით კითხვებს, გეგმავს და წარმართავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს, იყენებს კვლევის, მათ შორის ინტერდისციპლინურ, მეთოდებს. აანალიზებს და დოკუმენტურად აფორმებს კვლევის შედეგებს **(მეორე ნაწილისთვის);** **I.** აცნობიერებს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტების გავლენას და მნიშვნელობას პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნაზე **(მეორე ნაწილისთვის);** **პასუხისმგებლობა და ავტონომია** J. შესაბამისი სტრატეგიული მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით გეგმავს, ახორციელებს, მართავს და სტრატეგიულად წარმართავს საქმიანობას კომპლექსურ, არაპროგნოზირებად და მულტიდისციპლინურ პროფესიულ გარემოში. **(პირველი და მეორე ნაწილისთვის)**; K. მონაწილეობს სამართლის პროფესიული კავშირების მუშობაში და შეაქვს წვლილი სამართლის სფეროში პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში, ახდენს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაციას **(პირველი და მეორე ნაწილისთვის);** L. იღებს პასუხისმგებლობას სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პროფესიულ ან აკადემიურ გარემოში, დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს და სისტემურად ანახლებს ცოდნასა და უნარებს **(პირველი და მეორე ნაწილისთვის)**.
შეფასების წესი	სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩაბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი: ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

	ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
საკონტაქტო პირი/ები	პროგრამის ხელმძღვანელები: **ადამ მახარაძე,** პროფესორი ტელ: 577 71 20 50 e-mail: adam.makharadze@bsu.edu.ge **მალხაზ ნაკაშიძე, ასოცირებული პროფესორი** ტელ: 577 75 92 84 e-mail: nakashidze.bsu@gmail.com **სოლომონ მენაბდიშვილი, ასოცირებული პროფესორი** ტელ: 599 24 45 42 e-mail: smenabdishvili@gmail.com **მურმან გორგოშაძე, პროფესორი** ტელ: 551 205 556 e-mail: murman.gorgoshadze@bsu.edu.ge **ლევან ჯაყელი,** პროფესორი ტელ: 577 78 66 22 e-mail: l.jakeli@bsu.edu.ge